სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №75

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის შედეგად.

ქ. ბათუმი

25 ივლისი 2023 წ.

ერთის მხვრივ, ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება (შემდგომში ,,შემსყიდველი") მისი დირექტორის ლია გოგიტიძის სახით და მეორე მხვრივ, მცირე მეწარმე დათა მაკარაძე -ს (პ/ნ 61010003289) (შემდგომში ,,მიმწოდებელი") სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (ქემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს სამუშაოებს ან პროდუქციის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6. ,,საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გაერთიანების სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის ახალისოფლის ბაღისათვის შეკვეთით წაბეჭდი მასალა-ს შეძენა.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2.3. კლასიფიკატორის კოდი: CPV 22458000

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3500 (სამიათასხუთასი) ლარს და 00 თეთრს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ,,მიმწოდებლის" ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. მოსაწოდებელი საქონლის სახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ,,მიმწოდებელი" -ს მიერ წარმოდგენილი დანართის, ინვოისის, ზედნადების ან/და ანგარიშფაქტურის შესაბამისად.

4.საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვროს ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება.- მისამართი ხელვაჩაური, სოფელი ახალისოფელი

4.2. საქონლის მიწოდება ,,შემსყიდველისათვის" უნდა განხორციელდეს ერთდროულად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 15 აგვისტომდე.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის დღიდან.

5.2. მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის სრულად მოწოდების შემდგომ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან" ხორციელდება უსაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებაში ,,მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით, ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და ინვოისი .

6.3. ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება 6.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

7.1.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ ,,მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

7.1.2. აწარმოოს ,,მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე;

7.1.3. საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს ,,მიმწოდებლისაგან" მისთვის საჭირო დოკუმენტი;

7.1.4. საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს მიწოდებული საქონლის ექსპერტიზა შესაბამისი სამსახურის მეშვეობით. ექსპერტიზასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდეს ,,მიმწოდებლის" მიერ.

7.2. ,,შემსყიდველი" ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან" წინამდებარე ხელშეკრულების მე-5მუხლით გათვალისწინებული პირობებით.

7.3. ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოთხოვოს ,,შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.4.1.მიაწოდოს ,,შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.4.2. მიაწოდოს ,,შემსყიდველს" საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით;

7.4.3. უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ტექნიკური დავალების შესაბამისად;

7.4.4.საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი" ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით;

7.4.5. მიწოდებული საქონელზე საგარანტიო მომსახურება გავრცელდება თანდართული საგარანტიო ტალონის შესაბამისად.

8.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს ,,შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ასევე ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტისას, ,,მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური (საერთო) ღირებულების 20 (ოცი) პროცენტის ოდენობით.

9.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.2 (ნული მთელი ორი) პროცენტის ოდენობით.

9.4.იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური (საერთო) თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური (საერთო) ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.5. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით.

10.ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.2.,,შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად ვადამდე შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს):

10.2.1. ,,მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისათვის დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში;

10.2.2. თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა;

10.2.3. ,,შემსყიდველის" მიერ ,,მიმწოდებლის" გაფრთხილების მიუხედავად იმავე პირობის განმეორებით ან/და სხვა პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში;

10.2.4. ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის დადგომამდე ამკარა ხდება, რომ ,,მიმწოდებელი" დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის (შეწყვეტის) საფუძვლები, ხოლო ,,შემსყიდველმა" ურთიერთობის გაგრძელება დაუკავშირა ვალდებულების დროულად შესრულებას;

10.2.5. თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის" ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე;

10.2.6. თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.2.7. „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში.

11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13.სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

15. განსაკუთრებული პირობები

15.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობები, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლიარად და თითეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

15.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო ორი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.

ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება

ტელ: 577344791

მის: ქ.ბათუმი. ციციშვილი ფანაწკენტელის ქ.#20

საბანკო რეკვიზიტები:

ს.კ. 448382571

ა.ნ. 300739800

სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 040101

დირექტორი:

ლია ბაბილოძე

(ხელმოწერა)

მ.მ. დათა მაკარაძე

მის: ქ. ბათუმი, ოვ.ჯაჯანიშვილის ქ.50

ს/კ 61010003289

საბანკო რეკვიზიტები:

სს „საქართველოს ბანკი."

ანგ. №GE55BG0000000499446418

მცირე მეწარმე

დათა მაკარაძე

(ხელმოწერა)

დანართი #1

ინფორმაცია მისაწოდებელი საქონლის დასახელების, და ფასების შესახებ

№	საქონლის დასახელება	გან. ერთ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი
1	შეკვეთით ნაბეჭდი მასალა, შეკვეთით ,ნაბეჭდი მასალის ბეჭდვა,. შეკვეთით ნაბეჭდი მასალისათვის ნავესის მომზადება, შეკვეთით ნაბეჭდი მასალით ნავესის შეფუთვა, შეკვეთით ნაბეჭდი მასალის მონტაჟი.	ცალი	10	350	350
	სულ ჯამი				3500

მ.მ. დათა მაკარაძე